საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, ი. აბაშიძის გამზ. 26
ტელ: 228 91 68
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

26 Abashidze Avenue, 4600, Kutaisi, Georgia
Tel: 228 91 68
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 671

„6“ „აგვისტო“ 2015 წ.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტების (07-2/363, 02.07.2015) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საერთო სასამართლოების

მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტების (07-2/363, 02.07.2015) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი ცვლილებას იწვევს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში. ვინაიდან ცვლილებები ითვალისწინებს პარლამენტის მიერ ასარჩევი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრის მოქმედი რეგულირებისაგან განსხვავებული კვორუმით არჩევას (სრული შემადგენლობის 2/3-ის ნაცვლად სრული შემადგენლობის უმრავლესობა), აუცილებელია, რომ შესაბამისი ცვლილება აისახოს პარლამენტის რეგლამენტშიც. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 143-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მხოლოდ პარლამენტის წევრი, კომიტეტი და ფრაქცია არიან უფლებამოსილი, პარლამენტს წარუდგინონ რეგლამენტის პროექტი რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ. ამდენად, საქართველოს მთავრობა არ არის უფლებამოსილი ინიციატივის წესით შემოიტანოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, იურიდიულ დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია კანონების პროექტების განხილვის პროცედურის დაწყება.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი